ფასი 7 კაპ.

შაბათი, 25 მარტი. 1917 წ.

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის იდრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტატიების ქვეშ ერთ სვეტ-ზომის გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კაგკახიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 68 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 68

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს

თავისუფალ რუსეთში

გულმოკლულნი დები კნეინა მარიამ ილიას ასული რატიშვილისა, ანნა ილიას ასული და ექ. დიმიტრი ვასილის ძე ჯავახიშვილები შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

ქეთევან ილიას ასულ თუხარელის

გარდაცვალებას. პანაშვიდი გადახდილ იქნება დღეს ქვაშვეთის ეკლესიაში სადამოს 7 საათზე. ხოლო სულის მოსახსენებლად წირვა გადახდილ იქმნება კვირას, 26 მარტს. მიცვალებულს დაკრძალავენ ვერაზე, წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი მოთავსებულია ახალ ქართულ განკის შენობაში, ლორის-მელიქოვის ქუჩა. ვისაც საორგანიზაციო საქმეები აქვს, პირდაპირ იქ უნდა მიმართოს

დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, ხალამოთი—5—9-მდე. შემოწირულებას მიიღებენ როგორც აქ, ისე „საქართველოს“ რედაქციაშიაც.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი სამეურნეო-სასურსათო გიურო

აცხადებს, რომ ჯერ-ჯერობით მის განკარგულებაშია 400 კაცი, რომელნიც მზათ არიან მიეშველნენ სოფელს, ე. ი. აასრულონ ყველა საშუშაონი მინდგრად და ბოსტნებში, ტეხნიკურად გადაამუშავონ ხელი და ბოსტნეულობა. ვისაცა სჭირიათ მუშები და მათივს ბინაც ექმნებათ, სთხოვს მიმართონ „საქართველოს“ რედაქციას ან საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტს სათავად-აზნაურო ბანკით ახალს შენობაში (ლორის-მელიქოვის ქ.). მუშებს ხელმძღვანელობას გაუწევენ სპეციალისტი აგრონომები.

ვსთხოვთ ახალგაზრდობას, ვისაც სურს მიეშველოს სოფელს, ჩაეწეროს ამ სამუშაო ორგანიზაციაში.

თბილისის საეეურნეო ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ წლიური მორიგი კრება სამეურნეო ბანკის წევრთა, ნაცვლად 10 მარტს დანიშნულის კრებისა, რომელიც არ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა, დაინიშნა კვირას, 26 მარტს, დილის 10 საათზედ, ბანკის ბინაზე (სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა).

განსახილველი საგნები:

1) მომსენება საბჭოსი წლიურ ანგარიშისათვის, 2) მოხსენება საბჭოსი თვის მოქმედებისათვის, 3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 4) ანგარიში 1916 წლისა, 5) მოხსენება წესდების § 4 და § 17—2, 3, 4 და 5 მუხლის შეცვლისათვის და 6) არჩევნები: გამგეობის თავმჯდომარისა ნაცვლად ვ. რ. ყიფიანისა, რომელსაც ვადა გაუვიდა, საბჭოს დეპუტატებისა ნაცვლად ი. ვას. მაჩაბელისა, რომელსაც ავადმყოფობა ვადა გაუვიდა და გარდაცვალებულ ა. თ. ყიფშიძისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის სამის კანდიდატისა. (3—623—3)

კვირას, 26 მარტს, დილის 10 საათზედ

დანიშნულია ხარფუხის საზოგადო კლუბის წევრთა ფლიური კრება

განსახილველი საგნები:

1) მამასახლისთა საბჭოს მოხსენება კლუბის საქმეების შესახებ, 1916 წ. ანგარიშის და სარევიზიო კომისიის მოხსენებისა განხილვა, მოხსენებები სხვა და სხვა საკითხების შესახებ, მამასახლისების, მათი კანდიდატების და სარევიზიო წევრთა არჩევნები.

არჩევნები კლუბის წევრთა და კანდიდატებისა. (2—632—2)

დიდი მიტინგი

კვირას, მარტის 26, ნაშუადღევის 4 საათზე,

ქ. ფოთში

გაიმართება დიდი მიტინგი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა

სოფლის ხალხს

პარტიები სცდილობენ ერთმანეთს დაასწრონ და სოფლის ხალხთან პირველი მივიდნენ. ქალაქები და ქალაქის მცხოვრებნი საქართველოში ცოტანი არიან. ყველ ას ქართველზე ოთხმოცდა ათი მაინც სოფლის მცხოვრებია, სოფლელია. ასე რომ მცირე რიცხვის გამოკლებით, მთელი ქართველობა სოფლის ხალხისაგან შესდგება. აშკარაა, ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ვერაფერს გახდება, თუ სოფლის ხალხი არ დადგა მის დროშის ქვეშ. ამ ხალხის ძალა და ხმა ერთად ერთი გადამწყვეტი ძალაა ქართულ პოლიტიკური პარტიის გავლენისა. და პარტიებიც ამიტომ არავითარ ღონეს არ ზოგავენ სოფლის მოსამხრობათ. რადგან, საქმე დასწრებასა და ჯობნაზეა მიგდებული, პარტიები დემაგოგიურ ხერხებსაც არ გაურბიან. ასე ყოფილა ყოველგან. ასე იყო ჩვენს ქვეყანაშიაც, ამ ათიოდე წლის წინად. დაპირებანი და აღთქმანი ბევრი ყოფილა. ხალხის მოამაგეთ და გამაბედნიერებელ პარტიად ის პარტია ითვლებოდა, რომელიც სოფლის ხალხს მთელ მიწა-წყალს ჰპირდებოდა და ურჩევდა დაუყოვნებლივ სხვის საკუთრებას დაჰპატრონებოდა, მოეტაცა და დაექცია იგი. სოფლის ხალხის მუდმივი ფიქრი მიწას დასტრიალებს; ცხადშიაც და სიზმარშიაც მიწას ეალერსება. სოფლის კაცის ბუნება მუდმივათ აგზნებულია მიწის სიყვარულით. საკმარისია, ერთი სიტყვა გადაუსროლო, რომ სოფლელის აგზნებულმა ბუნებამ თავშეუკავებლად იფეთქოს და სოფელში დატრიალდეს ტაციობა, მიწა-მამულების დაქცევა, ტყეების აკაფვა და სხვა ამგვარი უწესობება. დღევანდელი არეულობა და სოფლის რევოლიუციური განწყობილება მეტად ნაყოფიერ ნიადაგს წარმოადგენს ამგვარი უწესოების აღმოსაცენად. საქართველოს სოფლის ხალხმა წარსულის მაგალითი და გამოცდილება უნდა გამოიყენოს და არ უნდა წამოეგოს იმ ანკესს, რომელსაც პარტიის სახელის განსამტკიცებლად გადაუსვრიან ხოლმე პარტიის მოციქულები. სოფლის ხალხმა უნდა იცოდეს, რომ დღეს შინაურ აყალ-მაყალისა და განხეთქილების დრო აღარ არის. დღეს ყველას ერთი საერთო საქმე აქვს გასაკეთებელი. ახალი მთავრობისა და უფლებების განმტკიცება და ძველის აღმოფხვრა სამუდამოთ, ძირიან-ფესვიანად. დღეს კიდევ ერთი საქვეყნო საქმე აქვს გასაკეთებელი ყოველ ქართველს, მთელს ქართველობას. ეს არის საქართველოს ეროვნულ უფლებათა აღდგენისათვის შეთანხმებული ბრძოლა. ჩვენი ქვეყანა ან ეხლა უნდა ეღირსოს ამ თავისუფლებას ან არასოდეს. ამიტომაც თანხმობა და ერთობა გვჭირია, რომ ერთმანეთს ვსწდეთ და თითეული თავის პირადი ინტერესისთვის აღიძვრეს, ერთმანერთს დავერიოთ, განხეთქილება და აყალ-მაყალი დავსთესოთ, ჩვენ ერთმანეთს დავასუსტებთ, ცხოვრებას ავრევთ. ამით ისარგებლებენ ძველი დროისა და ძველი მთავრობის მეგობრები, ადვილად დაგვამარცხებენ, არც თავისუფლებას შეგვარჩენენ და არც ძალადობით მითვისებულ საკუთრებას.

სოფლის ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ტაციობით ვერც ცხოვრება დალაგდება და ვერც სამართლიანობა დამყარდება. საქართველოს მომავალი მთავრობა და პარლამენტი, სადაც ას კაცზე ოთხმოცდა ათი მაინც სოფლის ხალხის წარმომადგენელი იქნება, მიწის საკითხს სამართლიანად გადასჭრის. ეს მთავრობა და პარლამენტი, როგორც ხალხური მთავრობა და პარლამენტი, უწინარეს ყოვლისა საქართველოს სოფლისთვის იზრუნებს. მთელი საქართველოს კეთილდღეობა ისე შეუძლებელია, თუ ჩვენი გლეხობა და საერთოდ მთელის სოფლის ხალხი არ იქნა უზრუნველყოფილი მიწის მხრივ, თუ მას წესიერი დახმარება არ გაუწიეს ფულით, სამეურნეო იარაღებით და სამეურნეო პრაქტიკული ცოდნა-დარიგების მიწოდებით. ვინც სოფლის ხალხის მოყვარულია და რომელ პარტიასაც სოფლის ხალხი მარტო თავის ძალის გასადიდებლად არ უნდა, დღეს დაერიდება ხალხში იმ სიტყვებით გავიდეს, რა სიტყვებითაც ამ ათ-თერთმეტი წლის წინად გადიოდა. ჯერ ახალ მთავრობის განმტკიცებას შეუწყოთ ხელი, ჯერ საქართველოს თავისუფლების აღდგენისათვის ვიზრუნოთ ყველამ და ამ თავისუფალ სამშობლოში ნამდვილი ხალხური მთავრობა დავაწესოთ და მაშინ ჩვენი სოფლის ხალხი კანონისა და წესიერების გზით მიწასაც მიიღებს და მიწის დასამუშავებლად საჭირო დახმარებას სესხით, იარაღით და ცოდნა-დარიგებით. ეს კარგად უნდა შეიგნოს ჩვენმა სოფელმა და გონიერად მოექცეს დღეს რომ პროპაგანდისტები დაიარებიან იმათ.

ფენიც მე და ჩემიც მეო

ხალხური ანდაზა

„კავკაზ. სლოვოს“ გუშინდელი ნომერი უძღვნის ოსმალეთის სომხეთის ბედს მეთაური წერილს. მისი დედააზრი ასეთია: სომხეთში უმრავლესობას ქურთები შეადგენენ, მაგრამ სომხეთის ბედის გადაწყვეტის დროს მათ არაფერი უნდა ეკითხოსთ, ვინაიდგან ნახევრად ველურ ქურთების „ბნელ შეგნებაში კულტურა ბოროტებაა და ამიტომ, რადგან არ იციან, რას ამბობენ და რად ამბობენ, შეიძლება ძველის წყობილების შეცვლა არ ინდომონ“. სომხები წინადაც უმცირესობას შეადგენდნენ, ეხლა კი, მათი ამოჟლეტისა და გადასახლების შემდეგ, კიდევ განახევრდნენ. მაშ როგორ უნდა მოეწყოს და დამყარდეს თავისუფალი სომხეთი, სადაც გაქცეულთა და გადასახლებულთა დაბრუნების შემდეგაც სომხები მეოთხედსაც ვერ შეადგენენ? „ომი ოსმალეთის ფრონტზე ბოლომდე უნდა ჩავიდეს და ისე უნდა გადასწყდეს, **როგორც მოითხოვს ამას მხოფლიო დემოკრატია**“.

ამავე გაზეთის ამავე ნომერში დაბეჭდილია მოსკოველ სომეხთა კომიტეტის დეპეშა, რომელიც გაეგზავნა პირველ მინისტრს ლვოვს. ამ დეპეშის დედა-აზრი იმავე სომხეთის აღდგენის შესახებ ასეა გამოთქმული: „მონღოლთა ბრძანებლობის ხუთის საუკუნის განმავლობაში ყოველი ნაბიჯი მშობლიო ქვეყნისა მორწყულია ჩვენის ხალხის თავისუფლებისათვის წამებულთა მებრძოლთა სისხლით, უხვად გაჟღენთილია დამონებულ სომეხთა გლეხის ცრემლით და იგი ადგილი, საოცნებოდ ქცეული ყოველ სომეხისათვის, უფლებით ეკუთვნის ჩვენს ხალხს, რომელმაც მრავალ მილიონ **დახოცილთა უფლებით დაამკვიდრა თვისი უფლება ამ საკუთარ ისტორიულ ტერიტორიაზე**“ (კურს. ჩემია).

დასასრულ, კომიტეტი თხოულობს სომხეთის სახელმწიფო ავტონომიას.

მოკლედ მოვჭრათ: სომხები თხოულობენ სომხეთის ავტონომიას, სადაც ისინი დიდს უმცირესობას შეადგენენ, ხოლო იმ პირობით, რომ მსოფლიო დემოკრატიამ უზრუნველყოს მათი ბატონობა უმრავლესობაზე. რა უფლებით? ისტორიულ უფლებით. კეთილი და პატიოსანი. ღმერთმა მშვიდობა მისცეთ და ხელი მოჯმართოთ! მაგრამ ძალაუნებურად, თავისთავად იბადება ერთი კითხვა, ერთი შეადარება: თუ ერთი მუჭა ხალხი, რომელმაც 500—600 წლის წინად დაჰკარგა თვისი უფლება, თხოულობს ამ უფლების აღდგენას; თუ იგი თხოულობს ამ უფლების ძალით დიდ უმრავლესობაზე ბატონობას; თუ იგი მოუწოდებს მსოფლიო დემოკრატიას ამ უფლების დამკვიდრებას,—რად უშლის ხელს იგივე ხალხი მეორე ერს—ქართველ ერს—განახორციელოს და დამკვიდროს თვისი უფლება თავის ისტორიულ ტერიტორიაზე? შევადაროთ ძალა ამ ორ უფლებისა. სომხებმა უფლება დაჰკარგეს ექვსის საუკუნის წინ, ხოლო ქართველებმა—ერთი საუკუნის წინ; სომხები თავიანთ ისტორიულ ქვეყანაში ერთ მეოთხედს შეადგენენ, ქართველები-კი—სამ-მეოთხედს; ოსმალეთმა დაიპყრა სომხეთი მახვილის უფლებით, საქართველო პირობით შეეკრა რუსეთს და ამ პირობას ეხლაც ძალა აქვს.

ნურავინ მისაყვედურებს. შური და მტრობა არ მალაპარაკებს, არამედ სურვილი სიმართლისა, სინდისისა და პატიოსნურ ურთიერთობის დამყარებისა. კიდევ ვიმეორებ: სომხებს ღმერთმა ხელი მოუმართოსთ. მეტსაც ვიტყვით: თუ შეგვეძლება შველა, ჩვენც მხარს დაგუჭერთ, მაგრამ ერთის უცილობელ პირობით: ხმა მაღლა, საქვეყნოდ აღიარონ ჩვენი უფლება და თუ მხარს ვერ დაუჭერენ საქმით მის აღდგენასა და დამყარებას, ხელს მაინც ნუ შეგვიშლიან და დღევანდელ საბედისწერო საათს ნუ ჩაგვიმწარებენ.

ხელი ხელსაო და ფეხი ფეხსაო.

მ. ჯავახიშვილი.

პარტიათა მიმართ ეპისტოლე

II

აბა ერთი გავიცნოთ, რა ეროვნული მოთხოვნილებანი აქვთ ჩვენში პარტიებს. როცა ვამბობ პარტიებს, ვგულისხმობ ნაციონალ-დემოკრატებს, სოც.-ფედერალისტებს და სოციალ-დემოკრატებს. ნაციონალ-დემოკრატები უპირველესს ყურადღებას აქცევენ ეროვნული კითხვის გადაწყვეტას და მოითხოვენ საქართველოს ავტონომიას. სოციალ-ფედერალისტები აფართოვებენ თავიანთ ეროვნულს მოთხოვნილებას და მოითხოვენ საქართველოს ტერიტორიალს ავტონომიას სხვა ერთა ავტონომიებთან ერთად და ავტონომიანის ერების ფედერატიულად დაკავშირებას. სოციალ-დემოკრატებს ეროვნული კითხვის გადამწყვეტ საშუალებად მიაჩნიათ ეროვნებათა გათანასწორება და მათთვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭება. დღევანდლამდე არც ერთ პარტიას არ განუმარტავს, თუ რა შინაარსისაა ეროვნული მოთხოვნილება.

რა არის „საქართველოს ავტონომია“, რომელსაც ნაც.-დემოკრატები თხოულობენ, რა არის „საქართველოს ავტონომია, ფედერატიულად დაკავშირებული სხვა ერებთან“, რომელსაც სოციალისტი ფედერალისტები თხოულობენ, და რა არის „ეროვნული თვითგამორკვევა“, რომელსაც სოციალ-დემოკრატები თხოულობენ? თუ როდისმე ვინმე ცდილა, რომლისამე პარტიის მოთხოვნილება გაემარტნა, ეს მომხდარა გაკვრით და ერთმხრივად. მაგ., ნაციონალ-დემოკრატებს გამოუთქვამთ, რომ საქართველოს ავტონომიას ისტორიული საზღვრები უნდა ჰქონდესო; სოც.-ფედერალისტების პროგრამაში არის დართული, რომ საქართველოს ავტონომიის ტერიტორიაზე უცხო ტომის მკვიდრთ კულტურულ-ეროვნული თავისუფლება ექნებათ მინიჭებულიო; სოციალ დემოკრატები ეროვნულს თვითგამორკვევას გვიმარტავენ ისე, რომ ყოველს ერს აქვს უფლება, როგორი მართვა-გამგეობაც უნდა, ისეთი შემოიღოსო.

რაკი ასე გამოურკვეველი იყო პარტიების ეროვნული მოთხოვნილება, იგი ყველას თავისებურად ესმოდა და ერთის პარტიის მომხრე მეორე პარტიის მოთხოვნილებაში იმას ხედავდა, რაც თითონ წარმოედგინა. სოციალ-დემოკრატები ერთს დროს დაჟინებით ამბობდნენ, ფედერალისტების და ნაციონალ-დემოკრატების ავტონომია არის ბატონ-ყმობის აღდგენა, თავადაზნაურობის პარპაშობა, გლეხების ჩაგვრა, მუშების მდგომარეობის დაქვეითება, საქართველოს უცხო ტომის მკვიდრთა დევნა, ბაჟების დადება გარედან შემოტანილს საქონელზე და სრული განკერძოება სახელმწიფოსაგანაო. ამისთანა ბრალდებათა გამგონე ავტონომისტები, გაკვირვებულნი და გაშტერებულნი ეფიცებოდნენ, არა, ეგრე არ არის, პირიქით, ავტონომია მოგვანიჭებს თავისუფლებას და გლეხსაც მეტი საშუალება მიეცემა თავის სოციალი მდგომარეობა გააუმჯობესოსო. თავის მხრით ავტონომისტები სოც.-დემოკრატთა „ეროვნულს თვითგამორკვევას“ ცარიელს, უშინაარსო სიტყვად სთვლიდნენ და თავიანთ მოწინააღმდეგეებს სთვლიდნენ სამშობლოს უარმყოფელებად და მოღალატეებად, ქართველობის მოძულეებად და ეროვნულად გადაგვარებულებად.

სცდებოდნენ ერთნიც და მეორენიც. არც ავტონომია წარმოადგენს იმ საშინელებას, რასაც სოციალ-დემოკრატები მიაწერენ მას, არც ეროვნული თვით-გამორკვევაა უშინაარსო და უმნიშვნელო უფლება, როგორც ავტონომისტები ამბობდნენ. ეს ორი მცნება—**ავტონომია** და **თვითგამორკვევა**, არა თუ ერთმანერთს არ ეწინააღმდეგებიან, არამედ პირველი არის მეორის შედეგი, რადგან ერი მოითხოვს ავტონომიას მხოლოდ მაშინ, როცა მას თავი გამორკვეული ექნება. ავტონომისტებს რომ შეედგინათ საქართველოს ავტონომიის სანიმუშო პროექტი, ყველანი დაინახავდნენ, რომ ავტონომია არ გულისხმობს არც ბატონყმობის აღდგენას, არც თავად-აზნაურობის პარპაშობას, არც გლეხების ჩაგვრას, არც მუშების მდგომარეობის დაქვეითებას, არც უცხო ტომის მკვიდრთა დევნას, არც ბაჟების დადებას გარედან შემოტანილს საქონელზე და არც სახელმწიფოსაგან სრულს განკერძოებას. მეორე მხრით, სოციალ-დემოკრატებს რომ დაწვრილებით გაემარტნათ, თუ რა ნაირათ ფიქრობდენ ისინი ქართველის ერის ცხოვრების მოწყობას თვითგამორკვევის საფუძველზე, აღმოჩნდებოდა, რომ ისინი ქართველის ერის ცხოვრების მომწყობად თვით ქართველს ერს სთვლიდნენ. მაშინ მოწინააღმდეგენი დაინახავდნენ, რომ სოციალ-დემოკრატები არ ყოფილან არც სამშობლოს უარმყოფელნი და მოღალატენი, არც ქართველობის მოძულენი და არც ეროვნულად გადაგვარებულნი.

შესაძლებელია, ავტონომისტებმა ავტონომიის კონსტიტუციის პროექტის შეუმუშავებლობის მიზეზად ის დაასახელონ, რომ მათ არ სურთ წინდაწინვე ხალხს თავს მოახვიონ რომელიმე პროექტი, რომელიც თვითონ მან უნდა შეიმუშავოს დამფუძნებელ კრებაზე. აგრეთვე შესაძლებელია, სოციალ-დემოკრატებსაც არ სურდეთ თავიანთ პარტიული აზრი მოახვიონ თავს ქართველ ერს, რომელიც თავის ცხოვრების სახეს გამოარკვევს აგრეთვე ეროვნულს დამფუძნებელს კრებაზე. თუ ეს მართალია, ორივე მხარე შემცდარი ყოფილა. პარტიები მოვალენი არიან ერის ცხოვრებაში და თვითგამორკვევაში მონაწილეობა მიიღონ, როგორც ერის ნაწილებმა, თავიანთ იდეალების და აზრების გაზიარებით. დამალვა პარტიის აზრებისა ერისაგან გაუგონარს უცნაურობას წარმოადგენს და ამიტომ ხსენებული მიზეზი დაუჯერებლად მეჩვენება. შეიძლება, ამ მოვლენის მიზეზი, როგორც ერთისა, ისე მეორე მხრით ტაქტიკური მოსაზრება იყვეს. ეს გასაკვირველი არ იქნება, რადგან ტაქტიკურის მოსაზრებით აუარებელი უცნაურობა ხდება და მომხდარა ჩვენში.

მაგრამ ეს ყველაფერი წარსული საქმეა. რაც ყოფილა, იმას უკან ველარ დავაბრუნებთ. ახლა მაინც მოვიქცეთ ისე, როგორც საჭიროა. დადგა ავტონომიის დამყარების ჟამი; აბა, ავტონომისტებო, შეიმუშავეთ ავტონომიის კონსტიტუცია და გაუზიარეთ ხალხს! დადგა თვითგამორკვევის აქტის მოხდენის ჟამი; აბა, სოციალ-დემოკრატებო, გამოამჟღავნეთ, რანაირად ურჩევთ ქართველს ერს თავის ცხოვრების გამორკვევას!

დ. კარიჭაშვილი.

23 მარტს 1917 წ.

ქართველი კათოლიკენი

ფრიად მნიშვნელოვანი მიმართვა ქართველ კათოლიკებისადმი ბ-ნ ს. გ—ს მიერ, რომელიც მეტად უმნიშვნელო აღგილას დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის გუშინდელს ნომერში, მრავალმხრითაა საინტერესო, რასაც ქართველობის გული დაუყოვნებლივ უნდა გამოეპასუხოს. აი, ეს წერილი: „მოძმენო ქართველ კათოლიკენო! დრო და გარემოება გვიკარნახებს თვალი გავახილოთ, ყურნი სმენათ მივაპყროთ. რუსეთი განახლდა, ყველა ხალხს შვება-თავისუფლება ეძლევა როგორც ეროვნული, ისე სარწმუნოებრივი. ჩვენმა ძმებმა, მართლმადიდებელ ქართველებმა, დაიხსნეს თავისი ეკლესია მონობისაგან ამა მარტის 12 მცხეთის ტაძარში. სასულიერო და საერო შეკრებილთ პირთაგან გაუქმდა ექსარხოსობა და გამოცხადდა კათალიკოსობა. ჩვენც ეგრეთვე უსამართლო ულელ ქვეშ ვიტანჯვით: ძალათ ჩაგვაგდო რუსის ბიუროკრატიამ სომეხთა კათოლიკობის კლანჭებში და ვერაფერ გზით ვერ დავაღწიეთ თავი ამ უსამართლო განკარგულებას. ეხლანდელი ჩვენი ძალათ გამგებელი არქიმანდრიტი ტერ-აბრამიანი ისე გათამამდა, ისე უკანონოდ იქცევა, რომ აღარაფერისა ეშინია და ლამის სულები ამოგვართვას. დროა მოვშორდეთ მის ვერაგულ გამგებლობას, ჩვენის ნაციონალური გრძნობების წინააღმდეგ მიმართულს და ჩვენ თვითონვე განვაგოთ ჩვენი საქმე. აგრეთვე განვდევნოთ ჩვენი ეკლესიებიდგან სომხური წირვა-ლოცვა და ტიპიკონი და აღვადგინოთ ჩვენი მშობლიური ქართული წირვა-ლოცვა და ტიპიკონი“.

ვინც გაცნობილია ქართველ კათოლიკეთა ისტორიას, რაიც დაწვრილებით აგვიწერა ნეტარხსენებულმა მღვდ. მიხ. თამარაშვილმა თავის კაპიტალურ თხზულებებში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, ან და „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას“, მას აღარ გაუოცდება ბ-ნ ს.-გ-ს მოწოდება, საკუთრივ გაიზიარებს მის გულის ნადებს და ჩვენი ეკლესიის განთავისუფლებასთან ერთად ხმას შეუერთებს ჩვენს ძმებს, რათა მათი სინიდისი და რწმენაც განთავისუფლებული იქმნეს, ის სინიდისი და რწმენა, რომელიც რუს ბიუროკრატიის წყალობით შებორკვილი იყო და სრულიად პატივაყრილი არქიმანდრიტ ტერ-აბრამიანთა ვერაგულ საფარველის ქვეშ დაპყრობილი და განართხული. ვის არ ეხსომება ამ გაიძვერათა საშინელი ომი, ქართველ კათოლიკეთა საწინააღმდეგოდ გაბართული! ვის არ ახსოვს მათი ოინბაზობა, სიცრუე, მტრობა, ჩივილი და ათასი უმზაკვანი დაბეზღება ქართველთა ჩამომავალ კათოლიკეების უარსაყოფად, რათა სომხობის საკუთრებად გაეხადნათ იგინი! ყური დაუგდეთ, რას ამბობს ამის შესახებ განსვენებული თ. მარიაშვილი: „სომხებმა ჟურნალ-გაზეთები გაავსეს ყალბი მოთხრობებით, ქართველები სრულებით არ უსმენდნენ კათოლიკე მისიონერებს და მარტო სომხები გადადიოდნენ მათს სარწმუნოებაზეო. საქმე იქამდე მიიყვანეს, კათოლიკებს ან ერთიან უნდა უარეყოთ თავიანთი სისხლი და ხორცი, მამაპაპათა ზნე-ჩვეულება, ენა, თვისება და სომხებივით აღეარებინათ თავიანთი თავი სომხად და „ტერვო ღორმია“ ეძახათ, ან არა და ერთიანად ხელი უნდა აეღოთ და განშორებოდნენ თავიანთ მამა-პაპეულს ეკლესიებს, ხატებსა და სალოცავებს ჩვენის მამა-პაპის სისხლით მორწყულს ქვეყანაში *). აი, ასე უჩიოდა განსვენებული მღ. თამარაშვილი, მისივე ტერმინით რომ ვსთქვათ, „გალაღებულ“ სომხის ისტორიკოსებს. სამწუხაროდ, ეს ძლიერი პიროვნება უდროოდ ჩაესვენა საფლავში და ქართ. კათოლიკეთა საკითხიც მიყუჩდა. სომხობამ ფაქტიურად გაიმარჯვა. დღემდე ჩვენს ძმებს ქართველებად აღარ სად სთვლიან, მათ სომხურს ტიბიკონზე აწირვინებენ, ილახება მამა-პაპათა ზნე-ჩვეულება, ათას წელთა წინ ნაშენი თაღების ქვეშ დღეს ჩვენის ენის მაგიერ წირვა-ლოცვას აღავლენენ სომხურს ენაზე. განა რომ ქართველ კათოლიკეს გული შეებრალოს საგალობლად უნდა შეჰბრალდა რუსეთის დღევანდელი რევოლიუცია, რომელმაც ელვის სისწრაფით დაამხვრია მთელის რუსეთის ბედნიერების შემბორკველი და დამღუპველი ძველი რეჟიმის სატრაპია, რომელსაც შეუბორკველი არ გადარჩენია თვით რწმენა და სინდისიც კი. ამიტომაცაა გასაგები ბ-ნ ს.—გ—ს მოწოდების ღრმა აზრი და აღტაცება, გასაგებია ისიც, თუ რატომ ელის ასე მოუთმენლად განთავისუფლებას, ჩვენთან დაბრუნებას. და აი, თუ ქართველმა ერმა 12 მარტს მცხეთის ტაძარში იდღესასწაულა სამშობლო ეკლესიის განთავისუფლება, დღეს არა ნაკლების თავგამოდებით უნდა მხარი დაუჭიროს ჩვენს ძმა კათოლიკებს, ხმა აღიმაღლოს და ამცნოს ახალ მთავრობას ძველი მთავრობის უმსგავსი ძალადობა. ჯერ-ჯერობით კი პირველი ნაბიჯი თვითონვე უნდა გადასდგან, ჩვენსავით ეკლესიას ახსნან ბორკილები, ჩამოიშორონ არა თუ ტერაბრამიანთა ძალად გამგებლობა, არამედ ტირესპოლის ეპისკოპოსის იურისდიქციისგანაც და აღადგინონ საქართველოს ქართველ კათოლიკეთა ეპარქია, რომელიც პაპებისაგან ჯერ კიდევ XIII საუკ. დამტკიცებულია რომის პაპების განსაკუთრებულის ბულით.

დ. კასრაძე.

ქართული პრესა

პოლიტიკური მომენტისა და სოციალისტ-ფედერალისტთა ტაქტიკის შესახებ „სახალხო ფურცელი“ შემდეგსა სწერს:

> დროებითი მთავრობის დანიშნულებაა, ძველი წეს-წყობილების ნაშთი მოსპოს. მას ვერ შეუძლია შეიმუშაოს ფორმა რუსეთის წესწყობილებისა. აქედან გამომდინარეობს ჩვენი მახლობელი ვალდებულებაც დროებითი მთავრობის წინაშე. იმდენად, რამდენადაც დროებითი მთავრობა ძველი რეჟიმის ნაშთებს ებრძვის, უნდა სავსებით დავემორჩილოთ მას, უნდა დავემორჩილოთ რევოლიუციის გასამარჯვებლად. ძალა ერთობაშია და ერთობის ოფიციალური მატარებლები დღეს დროებითი მთავრობა და მისი კომისარები არიან. ადგილობრივ თუ რევოლიუციის სათავეში მოექცნენ ისეთი ელემენტები, რომლებსაც ჩვენ ვიცნობთ, როგორც ჩვენი იდეალებისა და პოლიტიკურ მიზნები-მოწინააღმდეგებს, ეს სრულიად არაფერსა ნიშნავს. მათი მახლობელი მიზანი და ერთად ერთი დანიშნულებაც იმაში მდომარეობს, რომ ბოსპონ ძველი წეს-წყობილების ნაშთები. მათ ვერ შეუძლიათ გადაწყვიტონ ძირითადი საკითხები სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა, ეს მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლია. აქედან გამომდინარეობს ჩვენი დამოკიდებულობაც დროებით მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენელთა წინაშე; იმდენად, რამდენადაც ეს წარმომადგენლები ძველი წესწყობილების ნაშთს ებრძვიან, ჩვენ უნდა ყოველის ძალ-ღონით დავეხმაროთ და სრული ნდობა გამოვუცხადოთ.

ამასთანავე ერთად უნდა გავწიოთ პროპაგანდა ჩვენი აზრებისა, რათა დამფუძნებელ კრებაზე ჩვენი ხალხი საკუთარის შეხედულებით წარსდგეს. ეს, თანახმად გამოცხადებულის თავისუფლებისა, ჩვენი წარუხოცველი უფლებაა, რომელსაც დარაჯად უნდა უდგეს დროებითი მთავრობა.

რევოლიუციის დეპეშები

23 მარტი

პეტროგრადის ნაფიცი ვექილები

პეტროგრადი. 21 მარტს დროებით მთავრობას ეწვია ნაფიც ვექილთა საბჭო, კარაბჩევსკის მეთაურობით და მიესალმა. პრემიერ-მინისტრი მათ მიესალმა და დახმარება სთხოვა.

მარიამ თეოდორეს ასული

კიევი. სათათბიროს დეპუტატს საფენკოს დროებითმა მთავრობამ დაავალა აკერმანში გააცილოს ყოფილი დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული მთავრობის განკარგულებით დანიშნული. ეს განსაკუთრებული მატარებელი, რომელშიაც ნადედოფლარ მარიამის გარდა იქნებიან ოლგა აღექსანდრეს ასული და ალექსანდრე მიხეილის ძე.

სამუნიციპალო გამგეობის დემოკრატიზაცია

მოსკოვი. საპოლიტეხნიკო მუზეუმში გაიმართა კრება მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოსი. კრებამ დაადგინა დაითხოვოს ქალაქის საბჭო, მისი საქმე საზოგადოებებს გადასცეს და დაუყონებლივ შეუდგეს საზოგადო მმართველობის არჩევნებს. ეს მმართველობა დროებითი იქნება, ვიდრე საერთო სახელმწიფო კანონი გამოიცემა. ამავე დროს დაადგინა, დაუყონებლივ მიმართოს მთავრობას, რათა მან გამოსცეს დეკრეტი სამუნიციპალო მმართველობის დემოკრატიზაციის შესახებ.

სახელმწიფო კონტროლის შევსება საზოგადო მოღვაწეთა

პეტროგრადი. სახელმწიფო კონტროლიორმა გადაწყვიტა ტელეგრაფით განკარგულება გასცა, რათა ადგილობრივ სახელმწიფო კონტროლებში დაუყოვნებლივ შევიდნენ ქალაქებისა და ერობების წარმომადგენელნი.

მუშების დადგენილება

ბაქო. მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა დააარსოს კომისია, რომელიც მუშებსა და ნავთის მრეწველთა შორის მომხდარ უთანხმოებებს გაარჩევს.

მოსკოვის სამიტროპოლიტოში

მოსკოვი. საღვდელოების გუშინდელ კრებაზე მსჯელობდნენ მოსკოვის მიტროპოლიტის კანდიდატის არჩევანზე და დაადგინეს, ისარგებლონ თავიანთ საარჩევნო უფლებით, მაგრამ სინოდს ლოცვა-კურთხევა გამოსთხოვოს. დააარსეს კომისია, რომელიც არა თუ მარტო მოსკოვს, არამედ საერთოდ ყველა მიტროპოლიტების არჩევნების კანონ-პროექტს შეადგენს.

ადგილობრივ მმართველობის რეფორმები

პეტროგრადი. ოფიციალი. საეროო უფროსთა თანამდებობა გაუქმებულია. მათი საადმინისტრაციო ფუნქციები, დროებით, სამაზრო კომისარებზე გადადის, ხოლო სამოსამართლო ფუნქციები კი დროებით მოსამართლეებს გადაეცემათ. ეს მოსამართლეები დანიშნულნი იქნებიან საგუბერნიო კომისარების მიერ, სამაზრო კომისარებთან შეთანხმებით, დამტკიცებით კი მათ სამართლის მინისტრი დაამტკიცებს. საგუბერნიო კომისარებს, შინაგან საქმეთა მინისტრის მონდობილებით დაეგალებათ, სადაც კი საჭირო იქნება შეადგინონ სოფლის საზოგადოებათა კომიტეტები. ეს კომიტეტები სოფლის სამმართველოების ადგილს დაიკავებენ. ამ კომიტეტების შექმნაში უნდა დაეყარნენ სასურსათო კომიტეტებზე, საკოოპერაციო ორგანიზაციებზე, სალდათთა სამზრუნველოებზე და უკვე არსებულ სასოფლო კომიტეტებზე იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი უფრო ცხოველყოფელი იქნება (გაგრძელება იქნება. ჯერ არ მოსულა).

დროებით მთავრობის დადგენილება საარწმუნოებრივ და ეროვნულ უფლებათა შეზღუდვის გაუქმების შესახებ

პეტროგრადი. მივიღეთ რა მხედველობაში, რომ თავისუფალ ქვეყანაში ყველა მოქალაქე თანასწორუფლებიანი უნდა იყოს და რომ ადამიანი ეროვნებისა და სარწმუნოების გამო უფლებათა შეზღუდვას ვერ შეურიგდება, დროებითმა მთავრობამ დაადგინა მოისპოს უფლებათა ყველა ის შეზღუდვანი, რაც ეროვნულ ან სარწმუნოებრივ მხრით არის გამოწვეული. ამის და მიხედვით ისპობა შემდეგი შემზღუდველი კანონები: 1) მოძრაობის და საცხოვრებელ ადგილის არჩევნების შემზღუდველი. 2) უძრავ და მოძრავ ქონებათა კერძო საკუთრებად შეძენის შესახებ. 3) სხვა და სხვა სავაჭრო დაწესებულებებში მონაწილეობის შესახებ. 5) ყოველგვარ მოსამსახურეების, მუშების და შეგირდების შესახებ. 6) სახელმწიფო, კერძო და საზოგადო სამსახურში შესვლის შესახებ. 7) სახელმწიფო და კერძო სასწავლებლებში შესვლის, იქ სწავლის და სტიპენდიებით სარგებლობის შესახებ. 8) ოპეკუნების 8 ნაფიც-მსაჯულების თანამდებობის აღსრულების შესახებ. 9) ენათა თავისუფალი ხმარება როგორც საქმეთა წარმოებაში, აგრედვე სასწავლებლებში.

რევოლიუციის მსხვერპლთა დაკრძალვა

23 მარტს პეტროგრადში დიდის ამბით დაკრძალულ იქმნენ რევოლიუციის მსხვერპლნი. მთელი დღით დაკეტილ იქმნა ყველა მაღაზიები, სასწავლებლები და მთავრობისა თუ საზოგადოებრივი დაწესებულებანი. დილაადრიანვე მცხოვრებნი ექვს ადგილას შეიყარნენ და აქედგან გამოემართნენ მარსის ველისკენ, საძმო საფლაზე მოსასვლელად. პირველი პროცესია გამოემართა ვასილევის კუნძულის რაიონიდან და დილის 5 ს. 40 წუთზე უკვე დანიშნულს ადგილზე მოვიდნენ. პირველად საფლავში ჩაუშვეს კუვენი, აფანასევი და კოზლოვი. წესიერება შესანიშნავი იყო. ათიათასობით შეყრილი ხალხი უმალვე შესდგებოდა ხოლმე, რაწამს გამგენი თეთრ ბაირაღით ანიშნებდნენ შეჩერებას. პროცესიას ორკესტრები მოჰყვებოდნენ და სამგლოვიარო მარშს უკრავდნენ. დილის ათ საათზე საძმო საფლავზე მოვიდა სამხედრო მინისტრი გუჩკოვი. მას თან ახლდა მთავარსარდალი კორნილოვი. გუჩკოვმა დაიჩოქა საფლავის წინ და მოკრძალებით პირჯვარი გადიწერა. რამდენიმე ხნის შემდეგ გუჩკოვმა დასტოვა მარსის ველი და საზოგადოებათა წარმომადგენელებთან ერთად შემოიარა ქალაქის ყველა რაიონებში. შემდეგ ისევ საძმო საფლავს დაუბრუნდა და განაცხადა, მაკვირვებს პროცესიაში მონაწილეთა ასეთი საოცარი წესიერებაო, ეს ხალხის მოწიფების ნიშანიაო. „ჩვენ უკედ მოგუფლით ჩვენს თავს, ვიდრე ძველი პოლიცია“,—დაამთავრა სიტყვა გუჩკოვმა. ვასილევის რაიონის პროცესიაში აუარებელ ქარხნის მუშებმაც მიიღეს მონაწილეობა. აგრეთვე მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტობა, მსმენელი ქალნი უმაღლესი კურსებისა და სხვ. შუადღისას, 12 საათზე, მოვიდნენ როძიანკო და დროებითი მთავრობის ყველა წევრნი.

აქ იყვნენ ალმასრულებელი კომიტეტის წევრები, ჯარის კაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრნი, გლეხთა კავშირების წარმომადგენელნი და მრავალი სხვა. ყველას თავთავისი დროშა ჰქონდა მრავალნაირი წარწერებით: „საუკუნო ხსენება თავისუფლების მსხვერპლთ!“ „თავისუფლებისთვის მებრძოლთ“, „თავისუფალი უნივერსიტეტი“ და სხვ. დროშები მეტ ნაწილად წითლები იყო, თუმცა აქა-იქ სამგლოვიარო შავი დროშებიც ფრიალებდნენ. 1 საათზე გათავდა ვასილევის კუნძულის რაიონის პროცესია და ახლა პეტროგრადის რაიონისა დაიწყო. ამ პროცესიამ მოასვენა 9 კუბო. როდესაც კუბოს საფლავში უშვებდნენ პეტროპავლეს ციხიდან ზარბაზნის სროლით მიეგებნენ. დროებითი მთავრობის წევრებმა თავიანთი შთაბეჭდილებანი გაუზიარეს პრესის წარმომადგენელთ. თავადმა ლვოვმა განაცხადა: „გული სიხარულით მევსება. დიდებული, დიდიხნის სანატრელი დღე დაგვიდგა. ძველი შენობა წამოინგრა. ჩვენ ღრმადა გვწამს ძალა ჩვენი ხალხის სულისა. ეს ძსხვერპლნი რუსეთის მომავალ ბედნიერების თავდები არიან. საუკუნოდ იყოს ხსენება მათი“. კონოვალოვის სიტყვით ეს დიდებული სანახაობანი რუსეთის ახალი ცხოვრების თავდები იქნება. „ხვალიდან,—დასძინა მან,—რუსეთი სრულიად ახალს ცხოვრებას იწყებს. დღევანდელ დღეს რევოლიუციამ დაამთავრა თავისი დიდებული საქმე„—(ამბის დასასრული ჯერ არ მოსულა).

რევოლიუციის ამგეები

ბრეშკო-ბრეშკოვსკაია

21 მარტს დაბრუნდა მოსკოვში ბრეშკო-ბრეშკოვსკაია. სადგურზე აუარებელ ხალხის გარდა შეეგებნენ: მოსკოვის კომისარი კიშკინი და სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები.

ნახელმწიფარის დედა

ნახელმწიფარის დედის ბედი უკვე გადაწყვეტილია. საცხოვრებლად მას მიუჩინეს ყირიმში „აი-ტოდორის“ მამული; აქეთკენ მალე გაემგზავრება ალექსანდრე მიხეილის ძეც.

ნახელმწიფარის ოჯახი

„ბირჟ. ვედ.“-ის ცნობით, ცარსკოე-სელოში დაპატიმრებულ ნახელმწიფარის ოჯახს, ნიკოლოზთან ერთად მალე პეტრეპავლეს ციხეში გადაიყვანენ.

გუჩკოვი კავკასიის შესახებ

პეტრეს ქალაქიდან დაბრუნებული მოსკოვის კომისარი კიშკინი გვატყობინებს გუჩკოვის ნათქვამს, რომ არმიაში დიდი მშვიდობიანობა ჰსუფევს. ოდნავ აღეშფოთება ეტყობა კავკასიას: იქ გამწვავებულია ნაციონალი საკითხი, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ახალ ნაცვლის დანიშვნის შემდეგ იგიც გადასწყდებაო. მთავრობა დარწმუნებულია, რომ გენ. იუდენიჩი, რომელიც აღეჭურვილია ადგილობრივ ეროვნებათა ნდობით, შესძლებს ამ აწეწილ საქმის მოგვარებასო.

მუშათა დეპუტატების საბჭოს მოწოდება

მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭომ მიჰმართა მოქალაქეთ მოწოდებით, რომლითაც ითხოვს მხარი დაგვიჭირეთ რვა საათის სამუშაო დღის შემოღებაშიო. ამ მოთხოვნას იმით ასაბუთებენ, რომ მუშათა კლასი თავისუფლებას დარაჯად უნდა უდგეს, ვინაიდან ჯერ საშიშროება მთლად არ გამქრალაო. მუშებს ამისთვის უნდა ჰქონდეთ თავისუფალი დრო, ხანგრძლივი მუშაობა კი მუშებს ძალ-ღონეს აცლის და სამოქალაქო მოვალეობისთვის უვარგისად ჰხდისო.

ეროვნული საკითხი

(დეპეშები)

24 მარტი.

პოლონელები.

ჟიტომირი. საგუბერნიო კომისარმა მიიღო პოლონელთა დეპუტაცია, რომელმაც დროებით მთავრობას მადლობა გადაუხადა პოლონეთის აღდგენისათვის და იმედი გამოსთქვა, რომ ძველი წყობილების დახმარების შემდეგ რუსთა და პოლონელთა ძმობა განმტკიცდებაო.

ფინეთის სეიმი

ჰელსინგფორსი. სეიმის დეპუტატები დღეს 22 მარტს შეიკრიბნენ დილის 11 საათზე. ერთმანეთის მისალმების შემდეგ წევრთა რწმუნებულობა შეამოწმეს. ამით დამთავრდა დღევანდელი დღე. ხვალ პრეზიდიუმის არჩევნები იქნება. სეიმის კრებები ძველ-კანონთა პარტიის შენობაში იმართება. ოფიციალად სეიმის კრებები დაიწყება 11 აპრილს ყოფილ საიმპერატორო სასახლის სატახტო დარბაზში.

ბრძოლის ველზე

ტობოლ-გელენის პლაცდარმზე გაჩაღებულ ბრძოლას დიდათ დაუზარალებია რუსის ჯარი: მთელ დივიზიიდან სულ რამდენიმე ასი კაცი გადარჩენილა. ამასთანავე სამხედრო შტაბი იძულებული გამხდარა ჯარი სტოხოდის მარჯვენა ნაპირზე გადმოეყვანა. გუშინ ჩვენს მორიგ წერილში ვცდილობდით გაგვერკვია, თუ რა მიმართულებას მიიღებდა გერმანეთის ოპერაცია. კოვლის მიმართულებით დაწყებული შეტევა შესაძლოა გერმანეთმა გამოიყენოს, როგორც პოლონეთის ისე გალიციის ასპარეზისას. პირველ შემთხვევაში მთავარ შეტევას უსათუოდ სადმე პოლონეთის ასპარეზის ცენტრში, სახელდობრ ბარონეჩის მახლობლად დაიწყებდნენ. მაშინ ოპერაციის სახეც და მისი მიმართულებაც უკვე გამოაშკავავებული იქნებოდა. სამაგიეროთ სულ სხვა მიმდინარეობას მიიღებს ოპერაცია, თუ მთავარ მოქმედებას გერმანელები გალიციაში გადმოიტანენ. მაშინ, უეჭველია, რუმინეთის ასპარეზიც ახმაურდება და ოპერაციის მთავარი დანიშნულება იქნება კიევზე გალაშქრება. გუშინდელი ოფიციალი დეპეშა გადმოგვცემს, რომ გერმანელებმა მოქმედება ზოლოჩევის მიმართულებით განაახლესო. მათ ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გაუჩაღებიეთ და 6 ჯერ იერიშით წამოსულან და სოფ. ჩეპელე დაუპერიათ. ეს ადგილი რუსებს ბოლოს უკანვე დაუბრუნებიათ. შესაძლოა გერმანელებმა ამ დემონსტრაციის მოხდენა აქვთ განზრახული და ნამდვილათ კი ოპერაციის გაფართოებას სულ სხვაგან ჰფიქრობენ. რაც გინდა იყვეს, მდგომარეობა მეტად გართულდა და სულ ახლო მომავალი შესძლება მოგვცეს დანამდვილებით გავაცნოთ მოპირდაპირის განზრახვას.

X.

ომის დეპეშები

მთავარ განაკის ცნობა.

24 მარტი.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. 21 მარტის მღ. სტოხოდის მარცხენა ნაპირზე ტობოლი-გელენინის მიდამოებში, ჩვენი ჯარის დამარცხების შემდეგ, სტოხოდის მარჯვენა ნაპირზე გადმოვედიო. მოპირდაპირე იშვიათ ცეცხლს გვიშენს ზარბაზნებით. ჯარის უფროსობა მოხსენებით, ამ მიდამოს დამცველი ჩვენი ჯარი დიდათ დაზარალებულა. მეხუთე მსროლელთა დივიზიის ორი პოლკიდან სტოხოდის მარჯვენა ნაპირზე მხოლოდ რამდენიმე ათეული კაცი ღა გადავიდა. ორივე პოლკის უფროსი მოკლულია. მესამე პოლკის მხოლოდ ნახევარი ღა გადავიდა სტოხოდის მარჯვენა ნაპირას. დანარჩენ ორ საველე პოლკს თითოს რამდენიმე ასი კაცი დაეკლდა; დანარჩენი პოლკები ნაკლებ დაზარალდა.

22 მარტს, 6 საათზე მოპირდაპირემ მედგარი სროლა აგვიტეხა ზარბაზნებით ზოლოჩევის მიმართულებით პენიაკის-ჩეპელეგ-ზვიეენის მიდამოებში. იგი პირველ და მეორე წყების სანგრებს უშენდა და აგრეთვე ჯარის ზურგის მხარეს. მათს ზარბაზნების ნიშანს აძლევდნენ მფრინველები, რომლებიც თვითონაც გვიშენდნენ ყუმბარებს. მეშვიდე საათზე მოპირდაპირე იერიშით წამოვიდა სოფელ ჩეპელეზე, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ. ამის მერე მოპირდაპირემ ექვსჯერ მოიტანა იერიში, მეხუთე იერიშის დროს ჩვენს ხიხრილებში შემოიჭრა, მაგრამ საბაგიერო იერიშით გავდევნეთ. შეექვსე იერიშის დროს მტრის ქვეითა ჯარმა ჩვენს ჯარს სანგრების ნაწილი აიღო. საღამოთი ჩვენმა ჯარმა განდევნა მოპირდაპირე და თავისი მდგომარეობა აღიდგინა! დანარჩენ ბრძოლის ხაზზე სროლა, ზვერვა და საფრენების მოქმედებაა.

რუმინეთის ასპარეზი. სროლა და მფრინავთა მოქმედებაა. მოპირდაპირის 10 საფრენი თავს დაესხა ტეკუჩიუს სადგურს. აქ მცირე ზიანი მოგვაყენეს.

კავკასიის ასპარეზი. ხანიკენის მიმართულებით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა, ოსმალთა დევნის დროს, აიღო კარიშირინი, ხანიკინი და ვედეტბოი, სოფ. დეკესთან, ხანიკენის ჩრდილოდასავლეთით, მდ. დიალზე გასვლის დროს ოსმალთა ზურგის ჯარი სცდილობდა ჩვენს შეფეთებას. ინგლისის ჯართან შესაერთებლად ხანიკინიდან ყიზირამბატისკენ ერთი ასეული გაიგზავნა.

საფრანგეთი

პარიზი. სალამოს ოფიც. ცნობა. 22 მარტს დღისით, თუმცა თოვლის ბუქი და ტალახი იყო, მაგრამ ჩვენმა ჯარმა მოპირდაპირეს უკან დაახევინა სომა-ყაზანის შარეს და გრიუჟი-იუვილეჟ ბუა-სიურ-უაზის ხაზი დაეკავებინა. ფოლის ფერმის ჩრდილოეთით გერმანელებმა სანკრეტის სამი წყება და შავოულების ხლართი დასტოვეს; დასტოვეს დაჭრილები ტ ბევრი სომარი მასალა. ხელთ ვიგდეთ 3 გუბერნიკი და 150 ფერგონი. ეფუტის სამხრეთით ცეცხლი ეა არ მომმდარა. ბარეტ-ლა-ფორტ ლაფოვერის მიდამოებში ზარბაზნებით ბრძოლაა. შორსმსროლელი ზარბაზნები ეაეუშინეთ ვინიოლის საფეურს.

ვოგეზებში გერმანელების საფრენი ჩამოვაგდეთ.

პარიზი. დღის ოფიც. ცნობა. სომას აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს მთელი ბრძოლის ხაზზე ვუტევდით. დალონის იქით ჩვენმა მოწინავე რაზმებმა სენ-კანტენის სამხრეთ-დასავლეთის უბნებს მიეწია. კასტრას ჩრდილო-ატმოსავლეთით ჩვენი ჯარი გრიუჟის სამხრეთ ნაპირებს მიუახლოვდა. მარჯვენა ფრთაზე სოფ. მუანა-ჟაზი ავიღეთ. მოპირდაპირე მედგრად გვიშენდა ზარბაზნებს ესინის მიდამოებში. მდ. ელეტის სამხრეთი სოფ. ლაფეს შისავლეთან ბრძოლა სწარმოებდა, ამ სოფელში შევედით. ვოეენის სამხრეთით გერმანელების შემოტევა მოვიგერიეთ. მტერი დიდად დავაზარალეთ.

პარიზი. ბალკანეთის ასპარეზის ოფიც. ცნობა. მონასტირის ჩრდილოეთ მიდამოებში ტბების შუა ზარბაზნების და თოფების სროლაა. მტრის მფრი-

ნავმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო ვერტეკოპეს საავადმყოფოზე.

ინგლისი

ლონდონი. სალამოს ოფიც. ცნობა საფრანგეთის ასპარეზისა. სენ-კანტენის დასავლეთით გერმანელები მედგარის იერიშით შეეცადნენ 21 მარტს დაკარგული 6 ზარბაზანი დაებრუნებინათ. ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ ეს 6 ზარბაზანი ჩვენ შევინარჩუნეთ. დღეს ნაშუადღევს იერიშით ავიღეთ სოფ. მეც�ან-კუტიეური, ეტიგის ჩრდილო-დასავლეთით. აქ ტყვეებიც წამოვიყვანეთ. ამ სოფლის აღმოსავლეთით, ავონკურის ტყის მეზობლად ბრძოლა გრძელდება.

გუშინ მტრის ერთი საფრენი ჩამოვაგდეთ, ჩვენ ხუთი საფრენი დავკარგეთ.

უკანასკნელი ცნობები

გაზეთი „რეჩი“ იტყობინება: სისხლის სამართლის ახალ დებულების ხმარებაში შემოსატანად დაარსებულ კომისიის თავმჯდომარის ადგილას სენატორ ტრეგუბოვის მაგივრად დეპუტატ მაკლაკოვს ასახელებენ.

—

ძველი წყობილების თექვსმეტმა წარმომადგენელმა, მათს რიცხვში ბალეგამ, ვოლკმა, კენდორფმა, გერასიმოვმა, გახარიონოვმა, გრიგორიევმა, ბურდუკოვმა, თავ. ანდრონიკაშვილმა და სხვებმა ხურვილი გამოთქვეს ახალ მთავრობას ერთგულებას შეეფიცავთო.

—

ხმა დადის შიბოვის მაგივრად სახელმწიფო ბანკის მოურავად ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორს ხობოლევს ასახელებენო.

—

საშაბათს ხამართლის მინისტრი კერენსკი ცარსკოე ხელოში იყო და თვითონ დათვალიერა, ყოფილ იმპერატორს როგორ ყარაულობენ. კერენსკის თან გაჰყვა ცარსკოე ხელოს ახალი კომენდანტი პოდპოლკოვნიკი კოროვიჩენკო. მინისტრმა შემოიარა ალექსანდრეს სასახლის ყველა შენობები. განმარტებას აძლევდა ყოფილი ობერ გოფმარშალი გრაფი ბენკენდორფი და თავადი დოლგორუკოვი. შემდეგ მინისტრმა პირადად ჰკითხა ნახელმწიფარს მის და ოჯახობის ყანმრთელობისა და დროს ტარების შესახებ და დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო. მინისტრმა დაცვის წყნ-რიგი მოიწონა და რამდენიმე დამატებითი ინსტრუქციებიც მისცა. შემდეგ კერენსკიმ ყოფილ ხელფ ქალის ვირუბოვის ბინა დათვალიერა და ბრძანება გასცა ვირუბოვის ქალი ნასელმწიფარის ოჯახობას ხრულყოფით მოაშორონ და სხვა ადგილას გადაიყვანონ. ეს ბრძანება აღსრულებულია. ვირუბოვის ქალი სასამართლოს გადაეცა.

დეპეშები

(„ხაქარ.“ საკ. კორეს.)

როსტოვი. თქვენი თანამოაზრე ქართველი სტუდენტები ეუთვლით გულითადს სალამს მრავალწამებულს საშშობლოს, აწ განთავისუფლებულს. მალე ჩამოვალთ.

გლეამიჩავა.

„საქართველოს“ სამშაბათის ნომერში დაიბეჭდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამა.

ახალი ამბები

→ საკათალიკოსო წირვა: დღეს ხარგებობას, სიონის საკათედრო ტაძარში იწირვება ბრძანდება მისი ყოვლად უსაშეფდელოესობა, საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარხის მოსაყდრე ეპისკოპოსი ლეონიდე ეპისკოპოსის ანტონის თანამწირველობით.

→ სახალხო დღესასწაული. დღეს, 25 მარტს, თბილისში გაიმართება დიდი სახალხო დღესასწაული რუსეთის რევოლიუციის თავდადებულთა დაკრძალვის გამო. მთელი თბილისი პოლიტიკურ დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობს. აფთიაქებში იმუშავებენ მხოლოდ მორიგენი წამლის მისაცემად იმათთვის, ვინც, შეიძლება, დემონსტრაციის დროს დაშავდეს ანუ გული წაუვიდეს. ისეთ რეცეპტებს, რომელნიც ძლიერ საჭირო არ არის, აფთიაქებში არ მიიღებენ.

→ ახალი გაზეთი. სულ მოკლე ხანში თბილისში გამოვა ქარ-თული ს.-დემოკრატიული გაზეთი, ჯერ-ჯერობით კვირაში ორჯელ.

→ სამკურნალო ადგილების მომწყობ და გაუმჯობესებელთა კრების მომწვევი საორგანიზაციო ბიურო აცხადებს: ეხლანდელი მომენტი არამც თუ ხელს არ უშლის კრების მოწვევას, არამედ საუკეთესო დროთ ჩაითვლება კრების თავის დროზე მოწვევისათვის (6—10 მაისი). გარდა ამისა კრების ეხლავე მოწვევა იმათაც არის საჭირო, რომ ეროებითი მთავრობა მომავალ საზაფხულო სეზონისათვისვე მოასწრობს კრების დადგენილების განხორციელებას. საორგანიზაციო ბიურომ უკვე გაანაწილა თავის წევრთა შორის მოვალეობანი კრებაზე მოსაწვეულთა მისაღებად, მათთვის ბინის საშოვნელად, მოგზაურობის მოსაწყობად და სხ.

→ ნაექსარხოსალ პლატონთან ყოველდღე კრებაა რუსის სამღვდელოებისა.

→ საქართველოს საკათოლიკოსო. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითი კომიტეტი ყოველად სამღვდელო ანტონის მთავრობით 23 მარტს წარუდგა დროებითის მთავრობის ამიერ კავკასიის კომიტეტს, რომელმაც ყოველგვარი დახმარება აღუთქვა.

→ ქართველ კათოლიკეთა კრება. შაბათს, 12 ნახ. საათზე, კათოლიკეთა სკოლაში (კათოლიკეთა ეკეზია), ქართველ კათოლიკეთა კრებამ თანამედროვე საკითხების შესახებ მოსალაპარაკებლათ.

→ ხასოფლო სამეურნეო ბანკს წმინდა მოგება დარჩენია 1916 წელს 44.154 მან. 59 კაპ. წინანდელ წელთან შედარებით 19.194 მან. 32 კაპ. მეტი.

→ ჟურნალისტთა თათბირი. დღეს, 25 მარტს, სალამოს 6 საათზე, თბილისის ჟურნალ-გაზეთების თანამრომელთ თათბირი ექნებათ სასახლეში. უნდა გადაწყდეს საკითხი ჟურნალისტთა ბიუროს მოწყობის შესახებ.

→ პარტიული კრება. ორშაბათს, 27 მარტს, სალამოს 7 საათზე, „ახალი ძალების“ დარბაზში პავლე საყვარელიძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგს თემაზე: „რუსეთის რესპუბლიკა და ნაციონალური საკითხი“. კრებას დაესწრებიან მხოლოდ სოციალ-დემოკრატები.

→ თბილისის მილიციის უფროსის განკარგულებით, სახლის პატრონები, წინანდელ კანონის თანახმად, ვალდებულნი არიან იყოლიონ მეეზოვეები. იმ სახლის პატრონმა, რომლის მამულის საერთო შემოსავალი 2,400 მანეთს უფრის, ცალკე მეეზოვე უნდა იყოლიოს. პატარა სახლების პატრონები უნდა შეეერთდნენ და საერთო მეეზოვე აიყვანონ, მაგრამ შეამხანაგება იმ ანგარიშით უნდა მოხდეს, რომ ამხანაგების მამულთა საერთო შემოსავალი 3,000 არ აღემატებოდეს. შეეზოვენი თავიანთ მხრივ ვალდებულნი არიან ასუფთაონ და მორწყონ ქუჩები, გადაიტანონ ნაგავი, სალამოობით აანთონ ფარნები, თვალყური ადევნონ საეკვო პირებს, რომ ღამით სხვის ეზოებში არ შევიდნენ, არა მოიპარონ-რა, საჭიროების კვალობაზე დაეხმარონ მილიციონერებს და სხვ. ის სახლის პატრონი, რომელიც ამ განკარგულებას არ შეასრულებს, პირველად დაჯარიმდება 5 მან., მეორეთ 10 მან., მესამეთ 20 მან., ერთი სიტყვით თანდათან ჯარიმა გაორკეცდება. მეეზოვე კი, რომელიც განკარგულებას არ დაემორჩილება, დაპატიმრებულ იქნა 24 საათით.

→ თბილისში კარგად ცნობილი ბ-ნი ქობიაკოვი, რომელიც ერთ დროს თბილისის ქალაქის გამგეობაში მსახურებდა და გაზეთ „რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტთაც კი იყო, როგორც აღმოჩნდა, „ოხრანკის“ აგენტი ყოფილა. უკვე დაატუსაღეს.

→ რედაქციამ მიიღო „თეატრი და ცხოვრების“ მორიგი ნომერი. ჩვეულებისაებრ ამ ნომერშიაც ივ. გომართლის წერილი იპყრობს ყურადღებას; „უბრალო საუბარი“.

→ სასოფლო სამეურნეო ბანკის წლიური საზოგადო კრება დანიშნულია ხვალ, 25 მარტს, ბანკისავე დარბაზში. განსახილველია წარსულ წლის ანგარიში ბანკის მოქმედებისა და ასარჩევია გამგეობის თავმჯდომარე ნაცვლად ვ. ყიფიანისა, რომელსაც სამსახურის ვადა გუთავდა და საბჭოს ორი წევრი. გარდა ამისა კრებამ უნდა განიხილოს გამგეობის მოხსენება შესახებ ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლისა. ამ მოხსენებით, თუ იგი კრებამ შეიწყნარა, სამეურნეო ბანკის წესდება შეთანხმებული იქნება საკომერციო ბანკის წესდებასთან და აწარმოებს ყველა იმ ოპერაციებს, რასაც საკომერციო ბანკები აწარმოებენ და კრედიტი გადიდებული იქნება 5,000-დან 20,000 მანეთამდე. აგრეთვე გამგეობა წინადადებას აძლევს საზოგადო კრებას, რომ ბანკის მსახურთ, რომელნიც თვეში 100 მანეთზე ნაკლებ ჯამაგირს ღებულობენ, ასი პროც. მოემატოთ, ხოლო დანარჩენ მოსამსახურეთ ე. ი. ისეთებს, რომელნიც ას მანეთზე მეტს ღებულობენ, მათს რიცხვში ბანკის ადმინისტრაციის წევრთაც მიემატოსთ 50 პროცენტი.

→ ქვანახშირის შეძენა. ამიერკავკასიის საოლქო-სამხედრო სამრეწველო კომიტეტთან დაარსდა სამთამადნო ინჟინერის კ. პ. სიპიკის თავმჯდომარეობით ქვანახშირის შეძენა-განაწილების კომისია. მან უნდა მოაგვაროს და ხელი შეუწყოს ქვანახშირის შეძენას და განაწილებას, როგორც კავკასიაში, ისე ფრონტზე.

→ ქალაქის სასურსათო კომისიაში შედის ხუთი წევრი ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოდან.

→ ბეჰვდითი ორგანო. ამ დღეებში რუსულ ენაზე გამოვა მუშათა და ჯარისკაცთა ახალი ბეჰვდითი ორგანო შემდეგის სათაურით: „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ამბები“.

→ სასინოდო კანტორაში არქიეპ. პლატონისა ეპისკ. დამიანესი და სასინოდო კანტორის პროკურორის თანადასწრებით სხდომა იყო. სხდომას არ დასწრებიან (და არც შემდეგში დაესწრებიან): ეპისკოპოსი ანტონი, არქიმანდრ. ნაზარი, დეკანოზები კორნ. კეკელიძე და მარკოზ ტყემალაძე.

→ ხვალ, 26 მარტს, დღის 2 საათზე, ეფიმოვების ცირკში სხდომა ექნება ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს. საგანი კრებისა: 1) საბჭოს წარსულ მოღვაწეობის ანგარიშის განხილვა, 2) გადაწყვეტა საკითხისა საბჭოს განახლების შესახებ და 3) შემუშავება გეგმისა კავკასიის მხედრობის ორგანიზაციის შესახებ.

→ არყის სახდელის აღმოჩენა. მე-4ე უბნის მილიციონერმა ნორაშვილის ქუჩაზე ი. ელოშვილის ბინაზე აღმოაჩინა არყის სახდელის მოწყობილება. იპოვნეს სახდელი აპარატი, გამოხდილი არაყი და ქიშმიშის ბადაგი.

→ ქურდობა. აბას-აბადის შესახვევში გაქურდეს ქ-ნ მარ მიროტესის ბინა. წაიღეს 1,500 მანეთის ძვირფასი ნივთები და 500 მანეთი ფული.

→ ქართველ სოც.-რევოლიუციონერთა გაზეთი „შრომა“ გამოდის ქუთაისში კვირაში ერთხელ.

თელავი.

19 მარტს, სამოქალაქო ბაღში გაიმართა ქართველ ქალთა წრის მიერ დიდი მიტინგი. აუარებელი ხალხი დაესწრო; იყვნენ სოფლებიდგანაც; ილაპარაკეს 10-დე ქალმა—ორატორმა და სხვათა შორის რამდენიმე კაცმაც, მიტინგი დასრულდა ნაშუადღევის 3 საათზე.

— დაემხო ძველი მთავრობა და ხალხმაც ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა, მოლო მოღლო ყოველგვარ ძალმომრეობას, მექრთამეობას, ჯაშუშობას და ძარცვა-გლეჯას, რომელიც დღე და დღე თუ არ მატულობდა, არა კლებულობდა. ის ქურდ-ყაჩაღები, რომლებისაგანაც აკლებული იყო მთელი კახეთის სოფლები, ხალხს უბრუნდებიან, თვითონვე ჰგმობენ თავიანთ სამარცხვინო ხელობას და მტკიცე ფიცს სდებენ, რომ ამიერიდგან ხალხთან ერთად იბრძოლებენ, თუ გაჭირდა, ძვირფას ეროვნულ თავისუფლების მოსაპოვებლად.

საქართველოს საპათალიკოსო

ვიხალოცი დეკეზები;

სიხარულის ცრემლები მომგვარა წამებული საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალობის აღდგენამ. ულოცავ ყ-დ სამღვდელო ლეონიდეს საქართველოს კათალიკოსის მესაყდრეობას.

ამასთანავე ვთხოვ ვისაც ჯერ არს, გვიპასუხოს: ვის უნდა ვიხსენიებდეთ სამზედრო მღვდლები კავკასიის ფრონტისა მღვდელთმოქმედების შესრულების დროს? ამდენხანს ვიხსენიებდით სინოდს და ნაექსარხოსალ პლატონს.

მღ. ს. კეკელიძე.

ფოთი. მრავალრიცხოვანი კრება ქართველ ნაციონალ-დემოკრატებისა ქალაქ ფოთში აღფრთოვანებით და ერთსულოვნად ეგებება ავტოკეფალურ საქართველოს აღდგენილ ეკლესიას და გისურვებენ სასურველად მიგეყვანოსთ ბოლომდე დაწყებული საქმე.

თავმჯდომარე **დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე.**

ცხინვალი. სამღვდელოება და სამწყსო ცხინვალის საკეთილმოწესოსი გახარებული გილოცავენ დიდათ წამებულ ივერიის ეკლესიის განთავისუფლებას მძიმე მონობისაგან და მის ავტოკეფალურ უფლებების დაბრუნებას თქვენის დროებითის მართველობის ქვეშ. გაკურთხოთ თქვენა და თქვენნი თანაშრომელნი ზეციურმა მეფეთმ და დაგეხმაროსთ აკურებული ხომალდი მშვიდ ნავთსაყუდელისათვის შეგაფარებინოსთ.

კეთილმოწესე დეკანოზი

იროდიონ ოქროპირიძე.

† **თამარ ეგნატეს ასული მენთეშაშვილი,** მოწყალების დაჯ თბილისის მე-40 ლაზარეთისა,

ავადმყოფთა მოვლის დროს სახადით გახდა ავად და გარდაიცვალა 6 მარტს 1917 წელს.

ტოკეფალურ უფლებების დაბრუნებას თქვენის დროებითის მართველობის ქვეშ. გაკურთხოთ თქვენა და თქვენნი თანაშრომელნი ზეციურმა მეფეთმ და დაგეხმაროსთ აკურებული ხომალდი მშვიდ ნავთსაყუდელისათვის შეგაფარებინოსთ.

კეთილმოწესე დეკანოზი

იროდიონ ოქროპირიძე.

ქარელი. გორის მაზრის შეოთხე ნაწილის სამღვდელოებამ რუსის ძველ ტაძარში სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა, რუსეთში დიდებულ ცვლილების მოხდენისათვის, რამაც ჩვენს ეკლესიაზედაც ცხოველ-მყოფელი გავლენა იქონია. სამღვდელოება თქვენთან ერთად, ყოვლად სამღვდელოვ, განიზიარებს დიდს სიხარულს ქართულ ეკლესიის დაუნდობლივ და უსინიდისოდ გათელილ უფლებათა აღდგენას და უფალსა სთხოვს მოგანიჭოთ ძალა და ღონე ახალ ცხოვრებისათვის.

კრებულის თავმჯდომარე მღ.

იასონ ოქროპირიძე.

სიონში წირვის წინ

სათქმელი მიხაგებებელი სიტყვა, ყოვლად სამღვდელო ლეონიდესათვის.

მრავალთა ჭირთა დამთმენელო, წმ. მღვდელმთავარო!

სულის სიწრფოებით, მოხარული მოგეგებები ჯვარითა და თაყვანსა ვსცემ შენთა შრომათა და ღვაწლთმრავლობასა.

დღე ესე მომაგონებს 1546 წ., როდესაც დომენტი კათალიკოზმა წმ. ლუარსაბ მეფის ბრძანებით 25 წლის. ტყვეობის შემდეგ წმ. ტაძარი ესე ასხურა აიაზმითა და სწირა. მომაგონებს 1727 წ., როდესაც ქართლის გამგებელი ისაყ-ფაშა ამა წმ. ტაძარსა უპირებდა მეჩითად გადაკეთებასა, მაგრამ დიდმა გიგმა ამილაჩორმა ჩაშალა ეს საქმე და დომენტი თბილელმა აიაზმა ასხურა და სწირა.

აჰა, წმ. მღ. მთავარო, ასის წლისა „ტყვეობაცა სიონისა აღსრულდა ტ შენ სახელითა უფლისათა შეწირვად ფსიხისხლოდსა მსხვერპლისა „მშვიდობ“ისათვის სოფლისა“.

და მე დღეს სულითა ვიშვებ და ვიხარებ დღეს სულითა და სიხარულითა გულისათა ვდადებ: გიხაროდენ, სიონო წმიდაო, დედაო ეკკლესიათაო, ღვთისა სამკვიდრებელო, რამეთუ დღეს შვილნი შენნი მოგლენან შენდა შევრდომად და თაყვანისცემად!!

და შენ, წმ. მღვდელთ მთავარო, ნუ დაიცადებ წინამორბედობასა შენსა სიტყვითა უფლისათა!..

მღ. პ. კარბელაშვილი.

19 მარტი, 1917 წ.

ჩვენის ეკლესიის ცხოვრება

I

დაგვიანებული სალამი

„სულით და გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირების“.

ჩემთვის უძვირფასესის, უსაყვარლესის, მასთან უმანკო არსების ხანგრძლივმა და უმაგალითო ტანჯვამ, ბოლოსაც ულმობელმა სიკვდილმა უცნაურ ბურანში გამხვია, თავ-ბრუ დამასხა, თვალის ჩინი მომაკლო, ყურთასმენა წარმიღო, მგრძნობიარე გული რკინის მარწუხში ჩასჭედა, მთელის არსებით საკანში ჩამაგდო!.. ჩამაგდო და როდის?!

სწორედ იმ დროს, დროს ბედნიერს და განუმეორებელს, რომელსაც ჩემი მრავალ ტანჯული და ნაწამები სული მართალი სვიმეონის იმედით და გულის ფანცქალით მოელოდდა მრავალ წელთ განმავლობაში!.. როცა ჩემი სანუკვარი მაცხოვარი—თავისუფლება უკვე შობილიყო!.. როცა მიჯაჭვულ ამირანს უკვე დაელეწნა ჯაჭვი მონობისა, უსამართლობისა და მოტაცებულ ღვთიურ ცეცხლს,—ამ სიმბოლოს ყოველი სიცოცხლისას, თვით სიცოცხლეს, მყინვარიდან დაქანებული მოარბენინებდა ყინვით გარინდებულ და სიცოცხლე შეწყვეტილ საქართველოსკენ! . როცა კიევის ლავრაში მაქსიმე კათალიკოსის († 1795 წ.) და ნიენი-ნოვგოროდის მწუხარეთა მონასტერში ანტონ კათალიკოსის († 1828 წ.) ობოლი ნეშთნი ფაჩა-ფუჩში იყვნენ და შორი მანძილით ერთმანეთს რაღაცაზე ეჩურჩულებოდენ!.. როცა საქართველოს დიადემიანი და ულეჩაქო, დიდი აკვანი და დიდი აკლდამა—მცხეთა ფერფლის გორის ქვეშიდან ნაპერწკალს გამოაშუქებდა!.. როცა 12 მოციქულთა ხავს-მოკიდებული საყდარი მიწაზე გართხმული სვეტიცხოვლის ამართვის სამზადისში იყო! როცა ვახტანგ გორგასლანი „ციდან რეკვას“ გამოეღვიძებინა და პეტრე კათალიკოზს რაღაცას ყურში ჩასჩურჩულებდა! როცა სვეტიცხოვლის ეზოში პირუტყვთა ჯოგის ნაცვლად სამღვდელო და საერო პირთა მრავალრიცხოვანი წმიდა კრება გამართულიყო და რაღაცა საკეთილდღეო მზრუნველობაში იყო!.. როცა მცხეთის დიდნი ნეშთნი ირხეოდენ და ფშვინვას იწყებდენ, მტვერსა და ხავსს იწმენდნენ და საღღესასწაულოდ მრავალფეროვან კაბას იკერავდენ!

ბურანში გახვეულს, ქვიყანას მოწყვეტილს, ოთხ კედელში მომწყვდეულს, თითქოს სიზმარში წარმოიმიდგა ეს სანახაობა, თითქოს გონებაც დამიბრუნდა, თვალის ჩინი და ყურთა სმენა მომეტა და ჩემი ობოლი გულდაწყვეტილი სული საშინელი კონტრასტებით გაიშედა: სიკვდილი და სიცოცხლე, სითბო და ყინვა, ბნელი და ნათელი, აკვანი და სამარე, ბოროტი და კეთილი, იმედი და უიმედობა, ფეხქვეშ გართხმული აწყმო და საიმედო მომავალი საბედისწერო ბრძოლას ათავებდენენ, სიმართლის ბანაკი იმარჯვებდა და ბნელეთის ძალნი უკუ იქცეოდენ სირცხვილეულნი!

თვალი გავახილე, მაღლობზე, ავედ და რა ვიხილე? ვახტანგ გორგასლანი საძაგლისოდ ემზადებოდა! მაქსიმე, ანტონი და კირიონი ცივი ქვეყნიდან სამშობლოში მოეჩქარებოდენ!.. მათი დაობებული და დანესტიანებული მიტრაამოფორი—მცხეთის ეზოში მზეზე გამოეფინათ!.. სვეტი-ცხოვლის ეზო მართლა ნავავისგან გაეწმინდათ და გომურ-თავლების ალაგზე კათალიკოსის პალატები შენდებოდა!

ვხედავ ეხლაც ამას შორიდან, გულთ გრძნობათა ხროთი მეკედება და ამის მეტი რაღა მეთქმის:

მობრძანდითო, მობრძანდითო, უცხო სტუმარნო; ამირან, მაქსიმე, ანტონ, კირიონ, დიადება მცხეთისა, მიტროფორო-კვერთხო და საპე მაქსიმე—ანტონისა, ხმივო სიმართლისა და სითბო თავისუფლებისა!.. მობრძანდით! კეთილი იყოს მობრძანება თქვენი!..

აღსდეგ „მძინარე ავადმყოფო“, „გაიღვიძე ერო“!.. ხორც შეისხით ნეშთნო გმირთანო და წმიდათანო სამშობლოსანო!.. აყვავდით და ამწვანდით ხრიოკნო და უდაბნონო მცხეთისანო!..

აღიღე საპე ხელთა შენთა, პატრიარქო ნეტარო, და გვასმინე ენა დედისა, ნუგეში ჭირისუფლისა, გვასვი რძე მკერდისა დედისა და... განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალიმ ჩვენო! იხარებდე და იშვებდე, სიონ!..

და აწ შენცა, წმიდაო კრებაო მცხეთისაო და მოსაყდრეო ანტონისაო, მღვდელ მთავარო წმიდაო ლეონიდ, მიიღეთ სალამი უმდაბლესი თქვენდამი მწირისა შვილისაგან და ღირსმყავთ ზიარებად მადლსა თქვენსა, ვითარცა ირემი მწყურნები უდაბნოსა შინა უგზოსა და ურწყულსა.

დეკ. მელიტონ კელენჯერიძე.

დავ. კეზელი

დღეს, 25 მარტს, სრულდება ათი წლის თავი ცნობილ პუბლიცისტის დავით ივანეს-ძე კეზელის გარდაცვალების დღიდან. განსვენებული გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე 1883 წ. ქუთაისის გაზ. „შრომაში“ და იმ წელსვე გადავიდა მუდმივ თანამშრომლად გაზ. „დროებაში“, რომელიც გამოდიოდა მაშინ ივ. მაჩაბლის რედაქტორობით. დროებაში მიიქცია საზოგადოების ყურადღება თავის ნიჭიერი ფელეტონებით. ამ გაზეთის დახურვის შემდეგ 1885 წ. გადავიდა რუსულ გაზეთ „Новое Обозрѣніе“ში, რომელშიაც თანამშრომლობდა მაშინდელი საუკეთესო ძალები ნ. ნიკოლაძე, ილ. ხონელი (ბახტაძე) და სხვ.

აღსანიშნავია მის საპუბლიცისტო მოღვაწეობაში ბრძოლა „Тифл. Листокъ“-ის ფურცლებზე ცნობილ ფელიჩკოსთან, რომელიც მოწვეულ იქმნა თავ. გოლიცინის მიერ კავკასიის ერთა შორის შუღლის დასათესად. დავ. კეზელი (მწერლობაში დავით სასლანი, ზოილი) იყო მე-80 წ.წ. თაობის ერთი ნიჭიერი წარმომადგენელთაგანი და ილ. ხონელთან ერთად შექმნა საგანგებო ჟანრი გვსლიან ფელეტონისა ჯერ „დროებაში“ „კისრულების“ სათაურით და მერე რუსულ გაზეთებში.

ხარკოვი

ხარკოვის ქართველ სტუდენტთა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია, სალამს უძღვნის საქართველოს. აღფრთოვანებულ ბრწყინვალე მომავლით დაიმედიანებული.

ამ ასის წლის განმავლობაში ისე არასოდეს შეგვიხედნია მომავლისთვის როგორც დღეს იმ მტკიცე რწმენით, რომ ახლოა დრო, როდესაც ჩვენი თავი „ჩვენ გვეყუდნება“.

და ისე არასოდეს ყოფილა საჭირო ეროვნული სიმწიფე, როგორც ამ ჟამად: აზრთა სხვადასხვაობაში და პარტიულ დაყოფვაში ჩვენ ყველას ერთი გვაქვს საერთო, ერთნაირად ძვირფასი ყველასათვის და ერთი საგანი ჩვენის სიცოცხლისა—საქართველო.

სალამი რუსეთს—თავისუფალ ეროვნებათა კავშირს!

გაუმარჯოს სრულუფლებიან პოლიტიკურ ავტონომიით აღჭურვილ საქართველოს!

ფრაქციის თავმჯდ. **ხვ. ფიცხელაური.**

მდივანი **ზოსაშვილი.**

საქართველოს შრომის კავშირის დაარსების შესახებ

ჩემმა წერილმა, „საქართველოს“ მე-66 ნომერში დაბეჭდილმა, „საქართველოს შრომის კავშირის დაარსების შესახებ“, ჩვენდა სასიხარულოდ, როგორცა სჩანს, დაინტერესა ქართველები. რედაქციაში მოდიან, მკითხულობენ, სურთ ჩემთან მოლაპარაკება ამ საქმის შესახებ.

ამით ვაუწყებ ყველას, რომ ამ ჟამად ვადგენ კავშირის წესდებას. ამ დღეებში წესდებას შევათავებ და მის განსახილავად მოვიწვევ ყველას, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს კავშირის დაარსებაში.

ამიტომ ვთხოვ ყველა დაინტერესებულთ თავიანთი მისამართები „საქართველოს“ რედაქციაში დასტოვონ, რომ მერე უწყებების გაგზავნა შევძლოს.

ქართველი.

ამიერ კავ. მუშ. დეპუტატ. საბ. წარმომ. ყრილობის დადგენილება

ამიერ კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლებმა ყრილობაზე შემდეგი დადგენილება გამოიტანეს: დეპუტატთა ყრილობა უახლოეს მიზნად ისახავს რევოლიუციის დაგვირგვინებას და დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამ მიზნისთვის საბრძოლველად შეერთებული პროლეტარიატი იმოქმედებს ერთათ იმ რევოლიუციონურ და ოპოზიციონურ ძალებთან და კლასებთან, რომელთაც სურთ ამ მიზნისთვის ბრძოლა. პროლეტარიატი, რომელიც სდგას იმ ნიადაგზე, რომ რადიკალურად უნდა გადასწყდეს მუშათა და ნაციონალური საკითხი ბურჟუაზიულ წყობილების ფარგლებში, და რომელიც მოითხოვს მიწის კონფისკაციას ხალხის სასარგებლოთ, აუცილებელ საჭიროებად სცნობს შეთანხმებულათ შემუშავდეს ეკონომიური და სხვა საკითხები, მხოლოთ გადამწყვეტი ნიშვნელობა უნდა ქონდეს დამფუძნებელ კრებას; მუშათა კლასი მომზადებულის და გარკვეულის პროგრამით უნდა წარდგეს დამფუძნებელი კრების წ ნ.

2) **ომსა და ზავზე დამოკიდებულების** შესახებ ყრილობამ დადგინა შეუერთდეს იმ აზრს, რომელსაც დაჰფარგა პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭო, და დადგინა მიმართოს ყველა ქვეყნის მუშა ხალხს დაიცვან საერთაშორისო ერთობის პრინციპები. გადასწყვეტეს მოუწოდონ ავსტრო-გერმანიას, განსაკუთრებით ამ უკანასკნელის, ძმებს—პროლეტარებს, ჩამოაგდონ ძირს იმპერატორები, რომელნიც წარმოადგენენ ევროპის რეაქციის ძალას, და მით საშუალება მიეცეს განთავისუფლებულ ხალხს დამყაროს სანატრელი ზავი. ამასთან ერთათ ყრილობა უგზავნის ძმურ სალამს იმ რევოლიუციონურ ჯარს, რომელიც იმყო-

ფება ფრონტზე და მოუწოდებს მას, რომ გმირულათ ეწინააღმდეგოს მტრის თავდასხმას, რათა მით განმტკიცებული იქმნას რუსეთის თავისუფლება, და მხედველობაში იღებს რა მას, რომ ჯარის ნაყოფიერათ მოქმედებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სურსათით მის უზრუნველყოფას, ყრილობამ გადასწყვიტა: ყოველი ღონე იღონოს, რომ რაც შეიძლება, ბევრი მიაწოდოს ჯარს სურსათ-სანოვაგე და საომარი მასალა, აგრეთვე ზომებს მიიღებს გახშირებულ დეზერტირობის წინააღმდეგ.

3) დროებით მთავრობის კომისარიატების შესახებ ყრილობამ გადასწყვიტა ეთხოვოს კომისარიატებს, რომ მათ იმოქმედონ ყველა ოლქებში საგუბერნიო ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტებთან და ჯარის კაცთა და მუშათა საბჭოებთან შეთანხმებით.

4) **მუშათა დეპუტატების საბჭოს კომპეტენციის შესახებ** ყრილობამ მიიღო ის აზრი, რომ მუშათა დეპუტატების საბჭო წარმოადგენს რევოლიუციონურ ძალის ერთ დიდ ორგანოს, იგი, როგორც ძალის გამომხატველი, ანხორციელებს თავის საკითხებს და წარმოადგენს რევოლიუციონურ მთავრობის სიმაგრეს და ატარებს წმინდა დემოკრატიულ პროგრამას.

5) **მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრთა შესახებ** ყრილობამ დაადგინა, რომ მუშების გარდა საბჭოში მიღებულ იქმნენ სავაჭრო-სამრეწველოების, ფოშტის, ტელეგრაფის, რკინის გზის და სხვა დაწესებულებათა მოსამსახურენი, რომელნიც იზიარებენ პროლეტარიატის მიზნებს.

6 **ჯარის კაცთა დეპუტატებთან კავშირის შესახებ** ყრილობამ გადასწყვიტა შეიქმნას მჭიდრო კავშირი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა შორის. მხოლოდ ეს ორგანიზაციები კი არ ერთდებიან, არამედ დამოუკიდებელნი რჩებიან.

7) ყრილობამ დაადგინა დაარსდეს ამიერ კავკასიის მუშათა საბჭოებ შორის ცენტრალური წარმომადგენლობა, რომელიც შეაკავშირებს ყველა მუშათა დეპუტატების საბჭოებს. ამ ცენტრალურ წარმომადგენლობაში აირჩიეს შვიდი კაცი; ორდანია, ჯიბლაძე, ევგენიძე, ბოგბეგორი, ჯუღელი, ევსეევი, ანჯაფარიძე და ერაძე. უნდა ამოირჩიოს კიდევ სამი კაცი ბაკოს მუშათა დეპუტატების საბჭომ.

8) არსდება აგრეთვე კომისარიატთან ერთად **საალბო ორგანო**, სადაც 5 წარმომადგენელს აირჩევს ამიერ კავკასიის მუშათა დეპუტატების ცენტრალური ორგანო, რომელიც ახლო მომავალში იქნება მოწვეული.

9) **ფინანსიური საკითხის შესახებ** მიღებულ იქმნა, რომ როგორც მუშათა საბჭოების, ისე ცენტრალურ ორგანოს ნებისიერ საშვალებას შეადგენს: სახაზინო და საზოგადოებრივი თანხა და ყოველგვარი შემოწირულებანი. ადგილობრივი საბჭოები თავათ ზრუნავენ ნებისიერ მხარეზე. მხოლოთ თუ რომელიმე საბჭოს არ ძალუძს თავის შენახვა, მაშინ დახმარებას უწევს ამიერ კავკასიის ცენტრალური ორგანო. რეზოლიუციის მიღების შემდეგ ნოე ჟორდანიამ წაიკითხა მოხსენება ნაციონალურ კითხვაზე, ამ მოხსენებაზე კრების უმეტესობა დაეთანხმა.

წერილი კოგულეთიდან

17 მარტს მოხდა ქობულეთში—ქობულეთის და აჭყვის-თავის მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანთა კრება. მიტინგში მონაწილეობას ღებულობდენ ქართველი ქრისტიანებიც, ბერძნებიც და სხვ. მაგრამ დიდ უმრავლესობას ქართველი მაჰმადიანები შეადგენდენ. კრება გახსნა ბათუმის ქალაქის თვითმართველობის მოურავის მოადგილემ—რეჯებ-ბეგ ნიჟარაძემ. ის მიესალმა თანამოძმე ქართველ მაჰმადიანებს, მიულოცა ძველი, სულთამხუთავ მთავრობის დამხობა, მოკლედ და მკაფიოდ დაახასიათა ის, მოუწოდა მშვიდობიანობისა და წესიერებისაკენ, სთხოვა, რომ თუ რამ არის თქვენს შორის პირადი ინტერესები და ქიშპობა, დაივიწყეთ, რათა ახალ მთავრობას ზურგი გაუმაგროთო. შემდეგ მოუწოდა ეროვნულ გათვითცნობიერებისაკენ და უთხრა: თქვენ ქართველები ხართ ეროვნებით და ეს არც ერთ ქართველ მაჰმადიანს არ უნდა გეთაკილოსთ, როგორც სამწუხაროდ, ზოგიერთ თქვენთაგანს სჭირსო. გარდა ამისა, აღნიშნა დამფუძნებელ კრების მოწვევამდე არავითარ პარტიულ განცალკევებას არ უნდა ქონდეს ჩვენში ადგილი. შემდეგ ჩვენ გვერდში უნდა ვედგეთ და ხელი-ხელ ჩაკიდებული ქართველ ქრისტიანებთან ერთად უნდა გავსწიოთ საერთო მიზნისაკენ. თქვენც იარეთ იმ გზით, რა გზითაც ჩვენი თანამოძმე ქართველი ქრისტიანები ივლიანო.

კრებამ ორატორი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. შემდეგ აირჩიეს თავმჯდომარე—იგივე რეჯებ-ბეგ ნიჟარაძე ერთხმად. ილაპარაკა ბ-ნმა ქორქაშვილმა, მიულოცა კრებას ახალი წესწყობილება, ძველისაგან თავის დახწევა, მოუწოდა წესიერების დაცვისა და ეროვნულ გათვითცნობიერებისაკენ. პატივცემული არსენ წითლიძე მიესალმა მაჰმადიანებს და უთხრა: რასაც მეტის შრომითა და მსხვერპლით მოვიპოვებთ, ის უფრო მეტად ძვირფასია და მას მეტადაც ვუფრთხილდებით, ასეთია ჩვენი ახლად მოპოებული თავისუფლებაო. ძველი მთავრობა მოკვდა, ის უკვე დასაფლავებულია, მისი საფლავიდან ამოსვლა ყოვლად შეუძლებელია; გამხნევდით ძმებო, გამხიარულდით, ჩვენ განვთავისუფლდით მონობის ჯაჭვისაგან, თავისუფალი მოქალაქენი ვართ ყველა. ახლა თქვენც იცანით თავი ქართველებად, ეს არავის არც უნდა ეთაკილოს და არც უნდა აშინებდესო, არ იფიქროთ, რომ ამით თქვენს სჯულს რაიმე საფრთხე ელოდესო. ხოლო თქვენ, ქრისტიანებო, ჩვენის თანამოძმე მაჰმადიანების ადათ-წესებს, ჩვეულებებს პატივი უნდა სცეთ და ნუ ეძნება ადგილი ისეთ სამწუხარო მოვლენებს, როგორიც არის ადათის სასაცილოდ აგდება.

წითლიძის შემდეგ გამოვიდა ჰაიდარ ბეგ აბაშიძე. თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთ ხსოვნის პატივსაცემად მოუწოდა ხალხს ფეხზე ადგომა. მოუწოდა ყველას ეროვნულ გათვითცნობიერებისაკენ და უთხრა: ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს, ხელს არაფერი გვიშლის მოძმე ქართველ ქრისტიანებთან საერთო გვქონდეს ყველაფერი გარდა სჯულისაო. ყურანი გვიბრძანებსო: „ხუბბულ ვა ვათთან, მინელ იმან“, ე. ი. ვისაც სამშობლო არ უყვარს, იმას არც ღმერთი და არც თავისი სჯული სწამსო. მოიყვანა მეორე მაგალითი იმის შესახებ, რომ სჯულის სხვადასხვაობა არ უშლის ხელს ეროვნებასო. მახმადის ბიძა—აბუტალები ულჯულო იყო, კერპთაყვანისმცემელი, მაჰმადის სჯულის მოსისხლე მტერი; მახმადი მოუწოდებდა მას მიეღო მისი სჯული, მაგრამ ის უარზე იდგა. ისინი სჯულის საქმეში ერთიმეორის მტრები იყვნენ, მაგრამ როცა მაჰმადს მტერი შამოესეოდა, აბუტალები წამსვე დაეხმარებოდნენ; ასევე იქცეოდა მაჰმადი, და როდესაც აბუტალები მოკვდა, მივიდა ის, იტირა, ეპატრონა და დაასაფლავა. და ჩვენ რატომ არ უნდა ვიყოთ ქართველ ქრისტიანებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ყოველ საქმეში, მით უმეტეს, რომ ეს ჩვენს სჯულს არავითარ საფრთხეს არ უქადის. არაბები, ეროვნებით ერთნი, ქრისტიანებიც არიან, მუსულმანებიც, კათოლიკენიც და სხვა. შემდეგ ქართველ მაჰმადიან, ბ-ნ ჯემალ ქიქავამ თათრულად მიმართა (ქართულად ლაპარაკი უჭირდა). შემდეგ ამისა მაჰმადიანთა შორის ადგა ერთი და სთქვა: ჩვენ, მაჰმადიანი ქართველები მზათა ვართ ყველაფერში ვეძმოთ ქართველ ქრისტიანებს, თუ კი სჯულს არ შეეხებიან; ჩვენ მზათ ვართ თქვენთან ერთად, ქრისტიანებო, სისხლიც დავღვაროთო. ბოლოს მაინც ის აზრი გაატარა, რომ მაჰმადიან ქართველთათვის საჭიროა თათრული სკოლების გახსნაო... მას პასუხი გასცა რეჯებ ბეგ ნიჟარაძემ, შემდეგ ხოჯა ახმედ ეფენდი ქათამაძემ. მან დაჰგმო ბაქოელების პოლიტიკა, განჯინ კის მოქმედება, მოუწოდა მოძმეებს არ აჰყოლოდნენ მათს ფეხის ხმას, განუმარტა, რომ ეს საზარალოა, არავითარი თათრული სკოლაბის გახსნა კერძოთ არ არის საჭირო, რადგანაც ჩვენში არსებულ სკოლებში ხოჯები სჯულს თათრულად ასწავლიან და სხვა რა საჭიროაო. მოუწოდა მათ თანაგრძნობით შეხვდენ ყოველივე ეროვნულ მისწრაფებას, განუმარტა ქართული ენის, წერა-კითხვის საფუძვლიანი შესწავლის საჭიროება; დაჰგმო ბეგების მიერ ხალხის ჩაგვრა და საქმიანობისაკენ მოუწოდა.

შემდეგ მოხდა აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები, თითოეული სოფლიდან არჩეულ იქმნა სამ-სამი კაცი. ადგილობრივი ძველი მთავრობა გააუქმეს და მართვა-გამგეობა აღმასრულებელ კომიტეტს გადაეცა.

დამსწრე.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

მიიღება ხელის მოწერა

სანდრო შანშიაშვილის ცხუზულებაზე

26 წიგნი

გამოვა შემდეგის სარიით:

ლექსები.
1. ცხოვრების გზაზე,
2. ტრფობის ნაშთი,
3. სევდა მამულისადმი,
4. ბალი სევდისა,
5. საგალობელნი,
6. წიგნი სიმღერებისა,
7. სულამიტ, სამიჯნურო ჰანგები
8. საბავშვო იგავ-არაკები.

ლირიკული პოემები.
9. იდუმალი ხმები,
10. ოცნების ხეარეს,
11. ლანდები,
12. ორფეუს და ევრიდიკე,
13. იდუმალობის წინაშე,
14. ამირანი.

ეპიკურ-რომანტიული პოემა.
15. მედია და მშვენიერი ელენე,

დრამატიული პოემები.
16. ქალი გრძნეული,
17. მეფე მგოსანი,
18. ბერდო ზმანია,
19. ივერიკო,
20. შვების თავადი,
21. უგვირგვინო მეფენი,
22. ბედი მგოსნისა.

თარგმნები.
23. ფაუსტ გიოტესი,
24. დონ-კარლოს შილლერისა,
25. კეისარ იმპერატორი კონ—სა,
26. უცხო ლირიკა.

ხელის მომწერისთვის ყველა წიგნები ღირს 15 მანეთად.

ფულის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად. პირველად 5 მან.,—მიიღებთ ათს წიგნს; მეორედ 5 მან.,—მიიღებთ კიდევ ათს წიგნს და მესამედ 5 მან. დანარჩენ წიგნებისათვის.

ვინც ოცს ხელისმომწერს იშოვნის, ყველა წიგნები უფასოდ დაეთმობა. ბიბლიოთეკებს ყველა წიგნები თუმნად დაეთმობათ.

მთავარი მისამართები თბილისში: წ.-კითხვის საზოგადოება, სასახლის ქუჩა—ვასილ ედელაშვილი; მოსკოვის ქუჩა № 4 „საქართველოს“ რედაქცია; ნიკოლოზის ქუჩა № 7—სანდრო შანშიაშვილი და „სახ. ფურცლის“ კანტორა. ხელის მომწერის ადრესი, სახელი და გვარი გარკვევით უნდა იქმნეს აღნიშნული

გამომცემელი ნარდონი.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის

იუმორისტულ ჟურნალ

„ეშმაკის მათრახ“-ზე

ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ თავართქილაძეს. (ფ.)

თეეზის მრეწველნი

ძმ. კეგველოვები

ბუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**შეშოჩნი**“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინები რუსეთის და საზღვარგარეთის ფირმებისა **ხანგრძლივ ინახება**

ექიმი კბილიხა

ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და **რეუტოვის** ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, **იღებს** ავადმყოფებს **კანისა** და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და **განაახლა** ავადმყოფების **მიღება** საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმი

გ. მ. მუსაძე

იღებს სადოხტაქრო ავადმყოფთ
საღამოს 5-6 ს. -მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის ბლ. და ხამსგდრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

ბაგოვეზოვის ანდ ანდრეევისა

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე
ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი

ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესასვალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა **და** მის შედეგებისა (**საშარდე** მილის **დავიწროება**), სქესობრივი **უძლურებისა**, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, **საშარდე** ბუშტის სნეულებისა **და** საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე **და** ნაშუადღევის 5—9 **საათამდე.**

ერდიხის „914“ და „606“
შეშხაპუსაძეა

ექიმი

ე. ლ. ფალამგერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და **შინაგან ხნეულ. ავადმყოფებს** **მუდამ** დღე, **კვირა-დღის გარდა** **საღამოს** 5—7 **საათამდე**, ბელინსკის ქ. № 4. (თ — 202—)

ექიმი

მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

დოქტორი ფიზიკოსი
მოსე ანანიერის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ ხნეულებიან** **ავადმყოფებს** **მიიღებს** ოლღას ქ. № 8.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვოთ და სვამ ჯოველთვის მხოლოდ**

ლაღიძის

ვიტროშანი **და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო** ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის** წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია


ჟუთაისში
ქარხანა
ბ. ლაღიძე ჩქმ.
ჟუჟათეს
ბ. ლ. ლ. ...
ბ. ...
ბ. ...
ბ